“ბობოყვათი”

საქართველო, ქობულეთის რაიონი, სოფელი ბობოყვათი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,
შპს „ბობოყვათი“ ქობულეთის მუნიციპალიტეტში, აბაშიძის ქუჩაზე განთავსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 20.42.09.078; 20.42.09.471; 20.42.09.470; 20.42.09.517; 20.42.09.518; 20.42.09.402; 20.42.09.520; 20.42.09.550; 20.42.09.552; 20.42.09.338) გეგმავს მრავალფუნქციური დანიშნულების დასასვენებელი კომპლექსის მოწყობას.
ტერიტორიის ფართობია 15.4018 ჰა (154 018 კვ.მ).

მიწის ნაკვეთები ესაზღვრება შავი ზღვის სანაპიროს. საპროექტო ტერიტორიის ბუნებრივი ლანდშაფტი მნიშვნელოვნად სახეცვლილია ადამიანის ზემოქმედების შედეგად.

მრავალფუნქციური დანიშნულების დასასვენებელი კომპლექსის პროექტის კონცეფცია მოიცავს მის სწორ და თანაბარ განვითარებას სასტუმრო, კომერციული, კულტურული და გასართობი მიმართულებით.

საპროექტო ტერიტორიის განვითარება დაგეგმილია 3 ფაზად.

ბობოყვათის მრავალფუნქციური დასასვენებელი კომპლექსის მიზანია, შექმნას ექსკლუზიური სივრცე, სადაც შერწყმული იქნება - ეკოლოგიურად სუფთა გარემო, გასართობი სივრცეები, ენერგოეფექტური ნაგებობები ბუნებასთან და არსებულ ლანდშაფტთან ჰარმონიაში.
„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-11 პუნქტის 11.2. ქვეპუნქტის თანახმად „ქალაქგარეთ 10 ჰექტარზე მეტ ფართობზე დასასვენებელი კომპლექსური დასახლების (მათ შორის, სასტუმროსა და მასთან დაკავშირებული ნაგებობის) მშენებლობა“ ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წარმოგიდგენთ „მრავალფუნქციური დანიშნულების დასასვენებელი კომპლექსი ბობოყვათის“ სკრინინგის ანგარიშს.

დანართები:
- სკრინინგის ანგარიშის ბეჭდური ვერსია;
- სკრინინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია;
- ტერიტორიის Shp ფაილები.

პატივისცემით,
კ.ალანია

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
„25“ 08 2022 წ.
№ 1330

ტელ/ფაქსი: (+995 222) 7-07-38 Tel/Fax: (+995 222) 7-07-38